

პროფ. დოქ. თამაზ იაშვილი



ფენატოზები



რსს
განათლების სამსახური



პროფ. დოქ. თეგელ აგშალოურთა

ფახატაზმა





დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
ულურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2

2020-06-Y-0003-1766

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა

Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti

Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„ორი ახალგაზრდას კამათი უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა. მათგან ერთი მედინელი, ხოლო მეორე მექელი იყო. ორივე მათგანი სალაშქროდ იყვნენ წასულები და იქ შეხვდნენ. კამათის მიზეზი მექელი ბიჭის ხუმრობა გახდა. ის მედინელს უკნიდან მიეპარა და ხუმრობით დაარტყა, მაგრამ ამ ხუმრობამ მედინელი არათუ არ გაამხიარულა, პირიქით, ძალიან გააბრაზა.

კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა. მათ ერთმანეთი ბრძოლაში გამოიწვიეს. სანამ შეიბმებოდნენ მედინელმა „ენსარებს“ (მედინელი ადგილობრივები) დაუძახა მომეშველეთო, ხოლო მექელმა, თავის მხრივ მექელ მუჰაჯირებს უხმო. ასეთი მეთოდი არაბებისთვის კარგად ნაცნობი რამ იყო. ეს იყო თავისიანების მოხმობა, რაც უმეცრების ხანის ტრადიცია გახლდათ. კონფლიქტის დროს ყველა თავის გვარის ხალხს დაუძახებდა და ყველანი ბრძოლაში ებმებოდნენ. ეს იმდენად ფანატიკური ხასიათის ტრადიცია იყო, რომ ამ დაძახებაზე არავინ კითხულობდა მტყუანსა და მართალს, არც სამართლიანობას არად აგდებდნენ და ყველანი ბრმად

ებმებოდნენ ბრძოლაში. ეს მოწოდება მიაწინებდა, რომ გვარი ყველაფერზე მაღლა იდგა და ეს ორი ახალგაზრდა წლების შემდეგ ისევ აუღერებდა ამ მოწოდებას. მათი ეს ძახილი შუამავლმა გაიგონა და შემთხვევის ადგილზე მივიდა. ეს უმეცრების ხანის მოწოდება საიდან მოვიდაო, იკითხა მან. ხალხმა უთხრა, რომ ეს არ იყო უმეცრების ხანის მოწოდება და ახალგაზრდებმა მხოლოდ იკამათეს. კარგიო, თქვა შუამავალმა და იქ მყოფებს მიმართა: „ადამიანი, მხაგვრელი იქნება თუ ჩაგრული, ძმას უნდა დაეხმაროს. თუ მხაგვრელია, მისი უსამართლობა უნდა შეაჩეროს. მისთვის ეს დახმარებაა. თუ ჩაგრულია მასაც უნდა დაეხმაროს“.

(მუსლიმ, ბირ ვე სილა 62)


შუამავალმა ბრმა ფანატიზმს საშუალება არ მისცა და იქ მყოფებს უთხრა, რომ მთავარი თანამორწმუნე ძმობა იყო. რა პირობებიც არ უნდა იყოს, მუსლიმი მხაგვრელს წინ უნდა აღუდგეს, დაჩაგრულს კი- დაეხმაროს“.

რა არის ფანატიზმი?

ისლამი უკანასკნელი და სრულყოფილი სარწმუნოებაა. ის მონოთეისტურ რწმენაზეა ფორმირებული. ისლამის რწმენის სისტემის საფუძველში ღმერთის არსებობისა და ერთადერთობის რწმენა დგას. ისლამის მიზანია კაცობრიობა ამ ცენტრს დაუკავშიროს და შექმნას ისეთი ინდივიდები და საზოგადოება, რომლებიც ამ „შენობის კედლებში“ მტკიცე აგურების როლს იტვირთავენ.

ისლამური საზოგადოება თავს არიდებს ყველა ტიპის ზღვარს გადასულობას. მას აქვს მყარი მიმართულება, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ზომიერებაა. ამ თემასთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და ამგვარად დაგადგინეთ თქვენ შუა (სამაგალითო) თემად, რათა მოწმენი იყოს ადამიანთა მიმართ და შუამავალი მოწმე იყოს თქვენს მიმართ. და დაგადგინეთ

The image shows the vast interior of the Hagia Sophia in Istanbul. The central dome is massive, with intricate mosaics and frescoes. Large windows with colorful stained glass allow light to filter into the space. Several large, ornate chandeliers hang from the ceiling. In the foreground, a large, patterned blue carpet covers the floor. Several people are visible, some standing and some kneeling in prayer. The architecture is a blend of Byzantine and Ottoman styles.

ისლამური
საზოგადოება
თავს არიდებს
ყველა ტიპის
ზღვარსგა
დასულობას.
მას აქვს მყარი
მიმართულება,
რომლის
ძირითადი
განმსაზღვრელი
ზომიერებაა.



ყიბლე, რომლისკენაც იდექი მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგვეცნო (გამოგვემუდავენებინა) ვინ მიჰყვება შუამავალს და ვინ გაბრუნდებოდა უკან ქუსლებზე შემდგარი. სწორედაც მძიმე იყო ეს, მაგრამ არა იმათთვის, რომელნიც სწორ გზას დააყენა ალლაჰმა. ალლაჰი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას. შეეჭველად, ალლაჰი ღმობიერი და მწყალობელია ხალხის მიმართ“.

(ბაჟარა 2/143)

„შუა თემი“ ნიშნავს არცერთ მხარეს ზედმეტად გადახრილს, სწორად, ზომიერად მავალს. ასეთი ხალხი ღვთის მიერ დადგენილ წესებს გულწრფელად ასრულებს და ყველა საქმეს ზომიერების ფარგლებში აკეთებს.

გადაჭარბება, ზღვარს გადასვლა, სიტყვით, ფიქრით და ქცევით შეიძლება, თუმცა ზღვარსაგადასულობა ასევე შესაძლებელია რელიგიასა და რელიგიის გაგების საკითხშიც.

გამომდინარე აქედან, მუსლიმი ვაღდებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში შეინარჩუნოს ზომიერება და ჯანსაღი მიდგომები და ასევე ზომიერება უნდა იცოდეს რელი-

ფანატიზმი არის
მდგომარეობა,
რომლის დროსაც
ადამიანი რაიმის
მიმართ ბრძად
დამოკიდებული ხდება
და იმის გარდა
ყველაფერს უარყოფს.

გიურ ცხოვრებაშიც და ზღვარს
არ უნდა გადავიდეს. ყურანი ბრძა-
ნებს, რომ ჭეშმარიტების ხაზი არ
უნდა გადაკვეთოთ. ღვთის მიერ
დადგენილ ზღვარს ვინც გადავა,
ღვთიურ სასჯელს დაიმსახურებს:

„უთხარი შენ: ჰეი, ღვთიური წიგ-
ნის მფლობელნო! ზღვარს ნუ გა-
დახვალთ თქვენს რწმენაში ჭეშმა-
რიტების წინააღმდეგ და ნუ აყვე-
ბით იმ ხალხის სურვილებს, ვინც
თქვენს უწინ აცდა ჭეშმარიტებას
და სხვა ბევრიც შეიყვანა შეცდო-
მაში, და გადამცდარა სწორ გზას.

ურწმუნონი, რომელნიც არიან
ისრაილის შვილთა შორის, დაწ-
ყველილი არიან დავუდის და ღი-

სას, მარიამის შვილის პირით. ეს იმისათვის, რომ ურჩნი იყვნენ და ზღვარს გადადიოდნენ“, (მაიდე 5/77-78)

შუამავალი კი ბრძანებს: „სარწმუნოებაში ზღვარსგადასულობას მოერიდეთ, რადგან სარწმუნოებაში ზღვარსგადასულობამ თქვენზე აღრინდელები გაანადგურა“. (ნესაი, ჰაჯ, 5/217)

სამი საჰაბე დაინტერესდა, თუ რამდენ ღვთისმსახურებას ასრულებდა შუამავალი სახლში ყოფნისას. როდესაც ინფორმაცია მიიღეს, მათ თქვეს: „სად ჩვენ და სად შუამავალი, მას ხომ წარსულისა და მომავლის ყველა შესაძლო ცოდვა მიტევებული აქვს“, ამიტომ ერთმა გადაწყვიტა ყოველი ღამე ლოცვაში გაეტარებინა. მეორემ გადაწყვიტა ყოველდღე უწყვეტად ემარხულა, ხოლო მესამემ თქვა ქალს არ გავეკარებო და გადაწყვიტა არ დაქორწინებულიყო.

როდესაც შუამავალმა მათი ეს გადაწყვეტილება გაიგო, არ მოუწონა, პირიქით, უსაყვედურა და ზომიერებისკენ მოუწოდა: „ეს თქვენ ხართ, რომლებმაც ასეთი რამ თქვით? ფრთხილად იყავით. კვიცავ ღმერთს, ჩვენს შორის ღვთის

წინაშე ყველაზე მოკრძალებული მე ვარ. თუმცა მე ზოგჯერ ვმარხულობ, ზოგჯერ კი -არა. ნამაზსაც ვლოცულობ და კიდევაც მძინავს. ქალზეც ვქორწინდები. ვინც ჩემს სუნნეთს არ მიჰყვება ჩემიანი არ არის“. (ბუჰარი, ნიჟაჰ 1; მუსლიმ, ნიჟაჰ 5)

ადამიანის ცხოვრებაში ზღვარს-გადასულობის ყველაზე მკაფიო გამოვლინება ფანატიზმია. ფანატიზმი არის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი რაიმის მიმართ ბრმად დამოკიდებული ხდება და მის გარდა ყველაფერს უარყოფს. ბუნებრივია აქ რელიგიური მიმართულებით მტკიცე გადაწყვეტილებას, ან დადებითი მნიშვნელობით ურყევ რწმენას არ ვგულისხმობთ. ფანატიზმი ამის მიღმა მდგომარეობაა. რელიგიაში ღრმა რწმენა და გულწრფელი დამოკიდებულება საჭირო და მისასაღმებელია. თუმცა, ფანატიზმი ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი ჭეშმარიტისა და მცდარის გაუაზრებლად, ყოველგვარი ცოდნისა და კვლევის გარეშე, რაიმის მიმართ ბრმად არის დამოკიდებული და სხვა ყველაფრის მიმართ გაცხადებულ მტრობას ავლენს.

მიმდინარეობისა

და

სექტის

მიმართ

ბრმა

დამოკიდებულება,

ყოველგვარი

კვლევის გარეშე

ჭეშმარიტია

თუ

მცდარი,

არის ფანატიზმი.

რელიგიური ფანატიზმი დაკავშირებულია ისლამამდელი პერიოდის არაბულ ტრადიციებთან. მოგეხსენებათ, ისლამამდელ არაბეთში საზოგადოებრივი წყობილება გვაროვნულ პრინციპზე იყო დაფუძნებული. ტრადიციის მიხედვით ერთი გვარის წარმომადგენლები მტრის წინააღმდეგ ერთიანად გამოდიოდნენ.

ამ ტრადიციის მიხედვით პიროვნება ვალდებული იყო, მიუხედავად ყველაფრისა, თავისი გვარის ინტერესები დაეცვა. პიროვნება ვალდებული იყო სამართლიან და უსამართლო ბრძოლაში თავისი გვარის გვერდით ყოფილიყო. შუამავალი უარყოფდა ასეთ ბრმა დამოკიდებულებას და ეს მრავალი ჰადისითაა დადასტურებული. (იხ. ებუ დაჟუდ, ეღებ 11/112) ასეთი ბრმა და უპირობო დამოკიდებულების პირობებში ადამიანი მხარს უჭერდა არა სიმართლეს, ჭეშმარიტებას და სამართლიანობას, არამედ თავის გვარს და მისი ერთადერთი პირობა ეს უკანასკნელი იყო. ადამიანს ხშირად უწევდა მჩაგვრელი, მოძალადე, უსამართლო მხარის დაცვა და თანამონაწილეობა.

მართალია ფანატიზმის სათავეები გვაროვნული წყობილების ტრადიციებამდე მიდის, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი არსი შეიცვალა და შემდგომში უკვე რაიმე იდეის, რელიგიური მიმდინარეობის ან კასტის ბრმა მიმდევრობაში გამოიხატებოდა. ფანატიზმის შემთხვევაში, ამ ბრმა დამოკიდებულების გამო, ყველა სხვა იდეა უპირობოდ უარყოფილია და იდევნება. ფანატიზმმა ასევე შეიძინა პოლიტიკური მიმართულებაც. ამგვარი ვიწრო შეხედულების პირობებში ნებისმიერი საპირისპირო არგუმენტი, რაც არ უნდა ძლიერი და ჭეშმარიტი იყოს, თავიდანვე უარყოფილია და რაიმე შედეგის მომტანი ვერ იქნება. შესაბამისად ხშირია შემთხვევები, როდესაც განსხვავებული რელიგიური მიმდინარეობის, კასტის ან პოლიტიკური კუთვნილების ჯგუფები მეორე მხარეს უარყოფენ და უპირისპირდებიან.


ფანატიზმი მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ სფეროსთან დაკავშირებული ტერმინი არ გახლავთ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ, რომ ფანატიზმი მრავალ სფეროში ვლინდება, სპორტი იქნება, პოლიტიკა, ხელოვნება, ლიტერატურა თუ სხვა. რა მიმართულებაც არ უნდა ჰქონდეს ფანატიზმს, რა სფეროშიც


არ უნდა ვლინდებოდეს, იგი ყოველთვის ზედაპირული შეხედულებიდან გამომდინარე არის ჩამოყალიბებული.

ფანატიზმი მუსლიმურ სტილს არ შეესაბამება, რადგან მუსლიმობა ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო თავად ღმერთია. ფანატიზმი კი არის ქცევის მოდელი, რომლის დროსაც ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება უგულვებელყოფილია. ფანატიზმის შემთხვევაში ჭეშმარიტების ძიებისას უმეცრება დომინირებს და ამას კი ისევ ჭეშმარიტება ეწირება.

როგორც კი ჭეშმარიტების ძიების პროცესს უმეცრებისა და ფანატიზმის ჩრდილი დაეცემა, სხვების მიერ ჭეშმარიტების მტკიცების ალბათობაც კი აღარ იარსებებს.

როდესაც გონებაში ფანატიზმი გაბატონდება, იქ კრიტიკული აზროვნების ადგილი აღარ არსებობს. ჭეშმარიტების ძიების ადგილს ბრმა მომხრეობა იკავებს, ხოლო შემწყნარებლობის ადგილს - კი ძალადობა. ფანატიზმისთვის არ არის დამახასიათებელი ერთი-





რელიგიური მიმდინარეობა,
ჭეშმარიტების ძიებისას,
რელიგიის გაგებისა და
მისით ცხოვრების
მხრივ მორწმუნისათვის
სასარგებლო
საშუალება უნდა იყოს.

ანობა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნა. პირიქით, მას დესტრუქციულობა და მეორე მხარის მიმართ დაკნინების მცდელობა ახასიათებს.

ფსიქოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ფანატიზმი დიდი სულიერი გადაცდომაა. ის არის საშუალება დაარღვიოს საზოგადოებრივი თანაცხოვრებისთვის ხელსაყრელი გარემო და ერთიანობას საფრთხე შეუქმნას. განსხვავებული გრძნობების, აზროვნების, თუნდაც კანის ფერისა და მრწამსის მიმართ აბსოლუტურად შეუწყნარებელი დამოკიდებულება, საზოგადოებაში, პარანოიამდე მისულ სიძულვილს, შეუღლს და გაუტანლობას წარმოშობს, რაც

ინდივიდებისა და საზოგადოების აზროვნებისათვის დამაზიანებელია, რადგან ფანატიზმი გონებისა და გრძნობების ზღვარს გადასული მდგომარეობაა.

რა არის ფანატიზმი რელიგიურ მიმდინარეობაში?

ფანატიზმი ჯანსაღი, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა არ გახლავთ. ამ თავში ფანატიზმის ფსიქოლოგიურ და სოციალურ არ განვიხილავთ და დეტალებში არ შევალთ. აქ შემოგთავაზებთ რელიგიური მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელ ფანატიზმს, რომლებიც ინდივიდებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის ქრონიკულ ავადმყოფობაში ვლინდება.

ისლამში რელიგიური მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი ფანატიზმი ქრისტიანი კათოლიკებისა და პროტესტანტების მსგავსად მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, მაგრამ თავისი დესტრუქციული შედეგები მაინც მოიტანა, რის შედეგადაც ერთობისა და ერთიანობის მიღწევა არ მოხერხდა. ამ ერთიანობის

მიუღწევლობის, ერთ გზაზე ერთად სიარულის შეუძლებლობის და ბაირამის დღის თარიღთან დაკავშირებული შეუთანხმებლობის მიზეზიც კი რელიგიური მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი ფანატიზმია.

შუამავალი მთელი 23 წლის განმავლობაში ღვთით მოვლენილ გზავნილს ავრცელებდა. მან დაგვიტოვა უნიკალური გზამკვლევი ყურანის სახით და ასევე დაგვიტოვა სუნა, რომელიც შუამავლის ცხოვრებას, მის გამონათქვამებს და ქცევებს მოიცავს. ბუნებრივია შუამავლის მოღვაწეობის პერიოდში არანაირი რელიგიური მიმდინარეობა არ არსებობდა და არც მსგავსი მიმართულებით რაიმე მოწოდება ან წინაპირობა არ დაფიქსირებულა. როდესაც შუამავალი ადამიანებს მოძღვრავდა, მისი ერთადერთი დასაყრდენი ღვთიური გზავნილი იყო. ყურანის სწავლებით ფორმირებული ცხოვრების სტილი, რაიმე სახის ზღვარსგადასულობას გამორიცხავდა.

ბუნებრივია ეს ნიშნავს, რომ იმ პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს რაიმე შეკითხვები ან პრობლემები არ ჰქონდათ. საჰაბეთა ცხოვრებას

თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი მრავალი საკითხის შესახებ მსჯელობდნენ და კამათობდნენ კიდევ, მაგრამ მათი ეს მსჯელობა და თუნდაც აზრთა სხვადასხვაობა რელიგიური მიმდინარეობების ჩამოყალიბების დონემდე არ მისულა. შუამავალი ცოცხალი იყო და მისი ყოფნა წამოჭრილ კითხვებზე პასუხების ძიებისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მუსლიმები წამოჭრილ საკითხებს შუამავალს აცნობდნენ და მისი ბრძანებები და რჩევები მიმდინარე პრობლემებს არეგულირებდა. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმები ერთის მხრივ მის გარეშე დარჩნენ, ხოლო მეორეს მხრივ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა თავად უწევდათ.

ჩვენი წმინდა წიგნი მუსლიმებისგან ბრმა რწმენას არ ითხოვს. ის მოგვიწოდებს კვლევა-ძიებისკენ, ფიქრისკენ, გააზრებისკენ და გულწრფელი, საფუძვლიანი რწმენის ჩამოყალიბებისკენ. მრავალი აიათი მოგვიწოდებს დავაკვირდეთ სამყაროს და მასში არსებულ უზადო წონასწორობას, რათა გავიგოთ, რომ ის ტყუულუბრალოდ და შემთხვევით არ არის გაჩენილი. ყურანის ასევე მოგვიწოდებს გა-

ვიაზროთ ის უსაზღვრო წყალობა, რაც სამყაროშია და რაც ადამიანის სამსახურშია. ამ ყველაფერზე დაკვირვება და ფიქრი ყურანისეული მოწოდებაა.

ჩვენი სარწმუნოება აზროვნებას არათუ არ კრძალავს, არამედ მოგვიწოდებს ვიაზროვნოთ და ბევრი ვიფიქროთ. იმ ბედნიერების ხანაში მუსლიმები ყველა გაურკვეველი საკითხის აღმოცენისას, ყველა შეკითხვის პასუხის ძიებისას შუამავალს მიმართავდნენ და ამომწურავ პასუხებს იღებდნენ. მათ არ ერიდებოდათ შეკითხვების დასმა და კამათობდნენ კიდევც.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, დროთა განმავლობაში ბევრი გადასაწყვეტი საკითხი დაგროვდა. ახალი ტიპის პრობლემების სირთულე და ადამიანების შემეცნებითი უნარები ხშირად ერთმანეთთან მიმართებაში თანაზომადი არ იყო და ამ ყველაფერმა ყოველდღიურობა შეცვალა. ისლამი საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალზე იყო გავრცელებული და მუსლიმთა კულტურული მრავალფეროვნება რელიგიური საკითხების გაგების თვალსაზრისით განსხვავებულ მიდგომებს წარმოშობდა.



განსხვავებული სოციალური
გარემოს მქონე და
ამაღდროულად
განსხვავებულად
მოაზროვნე ადამიანები,
მრავალფეროვნება და
სიმდიდრეა.



ამდენად, შუამავლის გარდაცვალების შემდეგ რაც დრო გადიოდა, ყურანის გაგებისა და პრაქტიკაში განხორციელების საკითხში განსხვავებული მეთოდები გამოვლინდა, რაც ბუნებრივი იყო.

ისლამურ ცივილიზაციის პირველივე წლებში წარმოქმნილი განსხვავებული დამოკიდებულებები უმეტესწილად ჭეშმარიტების ძიებისა და ცოდნის შეძენის მცდელობის შედეგი იყო. შუამავლის

გარდაცვალების შემდეგ, ხალიფატის პერიოდში წარმოშობილი დავები და მსჯელობები, ხალიფა ოსმანისა და ხალიფა ალის მმართველობის დროს განვითარებული არეულობები ამ განსხვავებული დამოკიდებულებების გაღრმავებას მოასწავებდა და საბოლოოდ ეს განსხვავებული შეხედულებები ცალკე-ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. პირველი მიმდინარეობების წარმოქმნაში, როგორებიც იყვნენ ხარიჯის, შიას, მურჯიეს და სხვა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი როლი ითამაშა პოლიტიკამ.

მიმდინარეობა მიმავალ გზას ნიშნავს, რომელიც ისლამის სწავლულების მიერ რელიგიის ძირითადი დებულებების გაგების მცდელობისას დაგროვილ ცოდნასა და გამოყენებული მეთოდების კვალდაკვალ იქმნებოდა. მიმდინარეობების ფუძემდებელი სწავლულები ძირითად წყაროებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ამ გზით გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვეს, რამაც სისტემის სახე მიიღო. ეს ეხებოდა როგორც რწმუნის საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე ღვთისმსხაურებასა და ადამიანთა ურთიერთობებს.

არსებობს რწმენისა და სამართლებრივი მიმართულების მიმდინარეობები. მიმდინარეობა ის გზაა, რომლის მიხედვითაც რწმენისა და ქცევის სფეროებში სწავლულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვლინდება. თავდაპირველად ყურანისა და სუნას სწორად განმარტების მცდელობამ შექმნა ერთგვარი სისტემები, რომლებიც მიმდინარეობებად ჩამოყალიბდა.

სწავლულები საზოგადოებრივ პრობლემებს აქტიურად განიხილავდნენ, იღებდნენ გადაწყვეტილებებს და ასევე ჰქონდათ სკოლები, სადაც ასწავლიდნენ. ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ რელიგიური დებულებების გაგებას და სხვებზე სწავლებას, წარმოადგენდნენ მიმდინარეობების ლიდერებს და რადგანაც მათი გონებრივი პოტენციალი, დაგროვილი ცოდნა და ასევე სოციალური და პილიტიკური გარემო განსხვავებული იყო, ბუნებრივია მათი დამოკიდებულებების განსხვავებულად გამოვლინდა. მიმდინარეობებსაც ამ ლიდერების სახელები დაერქვა. მაგალითად: ჰანეფი, შაფი და სხვა.

მუსლიმების
გულწრფელობაში
ეჭვის შეტანა,
ყიბლისკენ მდგარი
გულებისა
და სეჯდეზე
დამხობილი
მორწმუნეების
შეურაცხყოფა,
ძმობას
გამორიცხავს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ერთი და იგივე სარწმუნოება სწამთ, მათი დამოკიდებულება, აღქმის უნარი, მოთხოვნილებები, პრობლემები და პასუხიმგებლობები განსხვავებულია. თაობების ცვალებადობა, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალი და სხვა ფაქტორები განაპირობებს სრულიად განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების არსებობას. ამას ემატება სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რაც ამ კონტრასტს უფრო თვალშისაცემს ხდის. თუ ისლამს ანთებულ სანთელს შევადარებთ ბუნებრივია ყველა ადამიანი ამ ნათელით თანაბრად ვერ ისარგებლებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანთელი მუდმივად ანთია და ირგვლივ ნათელის გავრცელებას მუდმივად განაგრძობს.

როგორც ვხედავთ, მიმდინარეობების წარმოქმნა ყოველდღიური ცხოვრების პირობებში წარმოშობილი პრობლემების მოგვარებისა და წამოჭრილ კითხვებზე პასუხების ძიების პროცესში შეიქმნა და ეს ყველაფერი, ამ მიმართულებით გაწეული გულწრფელი, მეცნიერული შრომის შედეგი იყო. მიმდინარეობების ლიდერები თავიანთი დამოკიდებულებებისა და შეხედუ-

ლებების ხალხზე თავს მოხვევას არ ცდილობდნენ. მათი მიზანი არ მრავალრიცხოვანი მომხრეების ყოლა ყოფილა. ისინი არც არავის მოუწოდებდნენ, რომ მათი მიმდინარეობის შესედულებები გაეზიარებინა. მათი შრომა და მცდელობა უკიდურესად მოკრძალებული და თავმდაბლური იყო, რაც ისლამის ისტორიაში არის დაფიქსირებული.

ისლამი ქეშმარილი მონოთეისტური რელი-

გიაა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისლამი მონოთეიზმზე დამყარებული რელიგიაა და ის ყველა მორწმუნეს ამ რწმენის ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდებს. გამომდინარე აქედან, დავა, დაპირისპირება და დანაწევრება ჩვენი რელიგიისთვის მისაღები არ არის. მეცნიერულ და ინტელექტუალურ დონეზე განსხვავებული აზრის ქონა არ იკრძალება, პირიქით, მოაზროვნე, მკვლევარი და გონებრივი პოტენციალის სასარგებლოდ გამოყენების მსურველები მისაღები და საჭირონი არიან.

ყველა მოსაზრება, რომელიც ჩვენი რელიგიის საზღვრებს არ სცდება და ძირითად ღრებულებებს არ

უარყოფს, მრავალფეროვნებად და სიმდიდრედ განიხილება. ამგვარი მოსაზრებები და შეხედულებები, რომლებიც წმინდა წიგნისა და სუნას არსს შეესაბამება, რელიგიური აზროვნების დინამიკას გამოხატავს. ყველა რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც წმინდა წიგნისა და სუნას მოძღვრებას ეყრდნობა, ჩვენი სიმდიდრეა.

ადამიანები იცვლებიან, მაგრამ რელიგიის მოთხოვნილება და მისით ცხოვრების მცდელობა არ იცვლება. სხვა და სხვა დროსა და სივრცეში მცხოვრები ადამიანი რელიგიას განსხვავებულად განიხილავდნენ. ზოგი მათგანი რელიგიას დადებითი პერსპექტივიდან უყურებს, ხოლო ზოგი კი - უარყოფითი. ღმერთმა ადამიანებიც მრავალფეროვანი შექმნა და ბუნებრივია შედეგიც ამ ფაქტთანაა დაკავშირებული. პირობების, აღქმის უნარის და ცოდნის დონის სხვადასხვაობამ გამოიწვია განსხვავებული დამოკიდებულებების გაჩენა და შეიქმნა მიმდინარეობები.

როდესაც იმ რელიგიურ მიმდინარეობებზე ვასუბრობთ, რომელთა დასაყრდენი წმინდა წიგნი და სუნაა, ბუნებრივია ვერ ვიტყვით, რომ

რომელიმე მათგანი სრულად ჭეშმარიტია და სხვა მეორე სრულად მცდარი. აქ მხოლოდ რომელიმე მათგანის მეტ სიზუსტეზე შეგვიძლია საუბარი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არცერთი მიმდინარეობა არ არის რელიგია და ყოველი მათგანი რელიგიის გაგებისა და ახსნის მეთოდია. გამომდინარე აქედან ჭეშმარიტების ერთადერთი მეპატრონის პრივილეგიას ვერცერთი მიმდინარეობა ვერ ფლობს.

ფანატიზმის მოსალოდნელი შედეგები

რელიგიური გაგების ან შეხედულების გათავისება და შემდეგ მისი ერთადერთ ჭეშმარიტებად მიჩნევა რელიგიური ფანატიზმისკენ გადადგმული ნაბიჯია. რელიგიური მიმდინარეობის ან აზრის უაღტერნატივობის ფრჩხილებში ჩასმა და ყველა სხვა შეხედულების უპირობო უარყოფა, ბუნებრივია სხვა მიმდინარეობებს მცდარ კატეგორიაში ათავსებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიმე მიმდინარეობის ზედმეტად ამაღლება და სხვა მიმდინარეობების დაკნინების მცდელობა ფანატიზმია. ამ შემთხვევაში ამტკიცებენ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება მათი შეხედულებაა და ამის პარალელურად სხვა

მიმდინარეობების შეხედულებების დაკნინება და დაგმობა ხდება.

ამგვარ ატმოსფეროში მყოფი ადამიანები საკუთარ ჯგუფს ერთადერთ გადარჩენილებად მიიჩნევენ და ყველა სხვა ჯგუფები ცოდვილებად, გზას აცდენილებად, შეცდომაში შეყვანილებად და სასჯელისთვის განწირულებად მიაჩნიათ. არადა ერთადერთი აბსოლუტური ჭეშმარიტება ყურანია. მისი განმარტებებისა და სწავლულთა მსჯელობის შედეგად მიღებული კონსესუსიდან გამომდინარე შეხედულებები აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ვერ ჩაითვლება. ისინი კრიტიკისთვის ღია მდგომარეობაში არიან და ასევე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჭეშმარიტების მიგნება სხვა და სხვა გზებით არის შესაძლებელი.

რელიგიური მიმდინარეობის, კასტის, ჯამაათის მიმართ ისეთი დამოკიდებულების ქონა, რომელიც კრიტიკული თვალთ შეხედვას გამორიცხავს და მათდამი ბრმა მორჩილებით მოქმედება ფანატიზმია. რელიგიური მიმდინარეობების არსებობა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და ასევე ბუნებრივია, რომ რომელიმე ადამიანი ამ მიმდინარე-





ყოველი
მუსლიმი
ვალდებულია
დაიცვას
ზომიერება
როგორც
ყოველდღიურ,
ისე რელიგიურ
ცხოვრებაში.

ობის წევრი იყოს. ეს ნორმალურია. პრობლემა ბრმა დამოკიდებულებაში და მიმდინარეობის მიერ დადგენილი შეხედულებების აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნევაშია, რაც სხვა შეხედულებების უპირობოდ უარყოფას იწვევს. მითუმეტეს ცუდია, როცა სხვა გზის მაღიარებელ თანამორხმუნე ძმებს მტრებად მიიჩნევ. ამ ტიპის ფანატიზმი ჩვენი რელიგიისათვის კატეგორიულად მიუღებელია. მიმდინარეობის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნევა მისი რელიგიასთან გატოლებაა, რაც არასწორია, რადგან სარწმუნოება ისლამია, ხოლო მიმდინარეობა მხოლოდ გზაა, რომელიც ისლამის გაგებაში წვლილს დებს.

ისლამის ისტორიის მანძილზე რელიგიური გზავნილის გაგებისა და მისი პრაქტიკაში განხორციელების საქმეში რელიგიური მიმდინარეობების როლი ძალიან დიდია. დღეს კი ჩვენი ვალაია ამ მონაპოვარს თითო აგური შევმატოთ და უფრო წინ წავიყვანოთ. წინააღმდეგ შემთავებაში, თუ რომელიმე მიმდინარეობას უაღტერნატივოდ მივიჩნევთ და სხვებს მტრებად ჩავთვლით, ისტორიის მონობაში ჩავრჩებით. ისლამის ისტორიას თუ გადავხედავთ, არის შემთხვევე-

ერთადერთი აბსოლუტური
ჭეშმარიტება ყურანია. მისი
განმარტებებისა და სწავლულთა
მსჯელობის შედეგად მიღებული
კონსესუსიდან გამომდინარე
შეხედულებები აბსოლუტურ
ჭეშმარიტებად ვერ ჩაითვლება.

ბი, როდესაც რელიგიური მიმდინარეობის მხარდამჭერები თავიანთი მიმდინარეობის დაცვის მიზნით სხვა მიმდინარეობის შეხედულების გამამყარებელ ჰადისებსაც კი გამოგონილად თვლიდნენ და დაკნინებას ცდილობდნენ. დღეს, ჩვენს ქვეყანაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც რელიგიური მიმდინარეობები რელიგიის დონეზეა აყვანილი და მიმდინარეობის მოდელი რწმენის საფუძვლის მსგავსად არის წარმოჩენილი. ასევე არის შემთხვევები, როდესაც სხვა მიმდინარეობის წარმომადგენელს გოგოს არ მიათხოვებენ, მის უკან ნამაზს არ ასრულებენ, საქმიან ურთიერთობებს არ იწყებენ და ა.შ. არადა ასეთი მიდგომები ერთიანობას კი არა, დაყოფას, დაქუცმაცებას და მორწმუნოებრივი ძმობის კავშირების შესუსტებას იწვევს.

ფანატიზმის გამოვლინებაა „ფეთ“-ს მაგალითი, როცა ამ „ჯამათის“ წევრები რელიგიის სახელით შეცდომაში იქნენ შეყვანილნი, რაც ჩვენ ყველამ ვნახეთ. რელიგიის სახელით მოლაპარაკე, მაგრამ რელიგიის საფუძვლების უგულვებელმოყვანილი ორგანიზაცია ადამიანების ჭარბ ნდობას ბოროტად იყენებდა. ადამიანების ნაწილი იმის მაგივრად, რომ სახელმწიფოს გვერდით დამდგარიყვნენ, ჯერ კიდევ აღნიშნული ორგანიზაციის ერთგულებას აგროძელებენ, რაც უდავოდ ფანატიზმია. ბრმა დამოკიდებულებამ ადამიანები სახელმწიფო ღალატამდე მიიყვანა და ჩვენ ყველამ ვნახეთ, თუ რაოდენ დესტრუქციული მოვლენა განვითარდა.

პიროვნების ან იდეის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნევა სარისკოა. ყველა იდეა, რომელიც უდავო ჭეშმარიტებად არის ჩათვლილი, თავისთავად სხვა, ალტერნატიული იდეების მცდარობას ამტკიცებს. ასეთი დამოკიდებულება მუსლიმების დაყოფას უწყობს ხელს და მისი შედეგები დესტრუქციულია. ისლამურ სამყაროში მიმდინარე პროცესებს თუ დავაკვირდებით, შედეგი სახეზეა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებების გაფეტიშება, მათი უცოდველად და ხელშეუხებლად გამოცხადება, ისლამის პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის. ისლამის მიხედვით აბსოლუტური ჭეშმარიტება თავად ღმერთია. მის გარდა ყველა სხვა ჭეშმარიტება შეიძლება მოჩვენებითი, დროებითი ან შედარებითი იყოს. რაც შეეხება ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას, როდესაც მისი ყოველი სიტყვა, ქცევა, გადაწყვეტილება და მდგომარეობა უპირობოდ მისაღებია და უალტერნატივო ჭეშმარიტებად მიჩნევა, ეს მიუღებელია. არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ადამიანია და ის შეცდომებს უშვებს. ადამიანთა შორის უცოდველი მხოლოდ შუამავლები არიან და ისინიც კი მცირე შეცდომებს უშვებენ, რაც ყურანში განმარტებულია კიდევ. გამომდინარე აქედან უცოდველობისა და უნაკლობის პრეტენზია არავის შეჰფერის.

რაიმე აზრის ან პიროვნების მიმართ ფანატიკური დამოკიდებულება საზოგადოების გახლეჩას, დაჯგუფებების ჩამოყალიბებასა და დესტრუქციული მოვლენების განვითარებას უწყობს ხელს.


განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ გარემოში მცხოვრები მუსლიმები შესაძლოა განსხვავებულად ფიქრობდნენ, რადგან ისინი ადამიანები არიან, ამიტომ მათი ეს მრავალფეროვნება სიმდიდრედ უნდა ჩავთვალოთ და გულში ჩავიხუტოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ყველანი ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ მართლები და სხვა ყველა გზასაცდენილია და მტრად მივიჩნევთ, მაშინ თითოეული ჩვენგანი დაზარალებულია.

ფანატიზმის შეფერად ქრობა

ადამიანების დაყოფა ისლამის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ყურანში ნაბრძანებია, რომ მორწმუნეები ძმები არიან. (იხ. პუჯურათ 49/10) რელიგიური მიმდინარეობა მორწმუნეს ჭეშმარიტებამდე მიღწევაშ და რელიგიური ცხოვრების სწორად განხორციელებაშ უნდა ეხმარებოდეს და როგორც წესი, ისინი საამისოდ შექმნილი შაშუალებებია. ამ პროცესში სხვა მუსლიმების დაკნინება, მათი გზასაცდენილებად გამოყვანის მცდელობა, მათი რწმენიდან გაძევების მცდელობა მორწმუნეობრივი ძმობის ჩარჩოებში არ ჯდება.

ისლამი ადამიანებს აზროვნების თავისუფლებას ანიჭებს და აქედან გამომდინარე სრულიად ნორმალურია განსხვავებული მიმდინარეობების არსებობა. რელიგიურ მიმდინარეობებს საფუძველში მნიშვნელოვანი ინტელექტუალური შრომა აქვთ ჩადებული. აქ სარიისკო მხოლოდ ისაა, რომ რელიგიური მიმდინარეობა სარწმუნოების დონეზე არ უნდა იქნას აყვანილი. მითუმეტეს თუ ამ ყველაფერს ცრურწმენები, მცდარი შეხედულებები და წარსულის გადმონაშთები შეერევა, პრობლემა სხვა მასშტაბებს შეიძენს.

რელიგიური ფანატიზმის ყველაზე მძიმე შედეგებიდან ერთ-ერთი „თეფრიკაა“. თეფრიკა ნიშნავს დაყოფას, დაშლას, აშლილობას, არეულობას, მუსლიმებს შორის ერთანობის რღვევას, სუნას მოძღვრების ირგვლივ გაერთანებული მორწმუნეების დაშლას, მარტოობას და სასოწარკვეთილებას. როდესაც ხალხის გულს ეს ბნელი ღრუბელი მოიცავს, იქ ადამიანებს გულის კარები დახშული აქვთ. წყალობა და ბარაქა აღარ არის და ირგვლივ შური და სიძულვილი მძვინვარებს.



მორწმუნენი მხოლოდ ძმები არიან

თეფრიკას ანტონიმი ერთბაა. ერთანობა მთელი სამუსლიმანო საძმოს ერთიანობაა, მიუხედავად მათი განსხვავებული ეთნიკური და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნებისა. ამ ერთობაში ყველა თავის იდენტობას ინარჩუნებს და ამავდროულად ერთი რწმენის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი. მუსლიმთა ერთობის კედლები შუამავლის თაოსნობით არის ნაგები. ყოველი მორწმუნე თითო აგურის როლს ასრულებს. „მუსლიმის სხვა მუსლიმებთან ურთიერთობა, შენობის აგურებს გავს, რომლებიც ერთიმეორესთანაა შედუღებული“ - ბრძანებს შუამავალი. (იხ. ბუჰარი, მეზალიმ 5)

რელიგიურ მიმდინარეობას შეიძლება ამგვარი ერთობის პრეტენზია ჰქონდეს, მაგრამ ეს არ არის სრული ერთბა, ის მხოლოდ გარკვეული ჯგუფის გა-



ერთიანებაა. ისევ ვიმეორებ, რელიგიური მიმდინარეობის არსებობა სრულიად ბუნებრივი და ნორმალურია, მაგრამ სხვების მტრად გამოცხადება და ფანატიზმის თესვა მიუღებელია.

რწმენასა და ურწმუნოებასთან დაკავშირებული კატეგორიული განსხვავება მხოლოდ რწმენის საფუძვლებთან პირდაპირ კონტექსტში შეიძლება განიხილებოდეს. როდესაც ადამიანი არ აღიარებს ღმერთს, შუამავალს, ღვთიურ წიგნებს, განკითხვის დღეს და რელიგიურ ღირებულებებს აბუჩად იგდებს, აქ რა თქმა უნდა საქმე გვაქვს ურწმუნოებასთან. რაც შეეხება დეტალების შესახებ განსხვავებულ შეხედულებას, აქ უკვე მორწმუნოება-ურწმუნოება არ განიხილება. ამრიგად, რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის მიერ გაცხადებული შეხედულებების ზეამადლება და

სხვა მიმდინარეობების ურწმუნობად მიჩნევა საფუძველშვე არასწორია.

როდესაც მუსლიმთა შორის რწმენის საფუძვლებში აზრთა თანხვედრაა და ისინი რწმენის პირობებს აკმაყოფილებენ და ამავედროულად დეტალებთან დაკავშირებული განსხვავებული შეხედულებების გამო ერთიმეორეს მტრობენ, ნამდვილად სამწუხარო და დასაფიქრებელია.

არადა თანამორწმუნე ძმების მხრიდან ერთმეორის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, პირველ რიგში, ისევ და ისევ სადავო საკითხების მოგვარებას შეუწყობს ხელს და მუსლიმთა ერთობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ფანატიზმის გამოვლინებაა
„ფეთო“-ს მაგალითი,
როცა ამ „ჯამაათის“ წევრები
რელიგიის სახელით
შეცდომაში
იქნენ შეყვანილნი,
რაც ჩვენ ყველამ გნახეთ.
რელიგიის სახელით
მოლაპარაკე,
მაგრამ რელიგიის
საფუძვლების
უბუღბელმყოფელი
ორგანიზაცია
ადამიანების ჭარბ ნდობას
ბოროტად
იყენებდა. ადამიანების ნაწილი
იმის მაგივრად, რომ
სახელმწიფოს
გვერდით დამდგარიყვნენ,
ჯერ კიდევ აღნიშნული
ორგანიზაციის
ერთგულებას აგრძელებენ,
რაც უდავოდ ფანატიზმია.

და ბოლოს

შეიძლება ყოველთვის იარსებებს აზრი, რომ რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის შეხედულებები ერთადერთი და უალტერნატივო ჭეშმარიტებაა და მხოლოდ ამ მიმდინარეობის შეხედულებების მიხედვით მოქცევა გადაარჩენს ადამიანს. თუმცა აქვე არც ის უნდა დაგვავიწდეს, სხვა შეხედულებების პირდაპირი უარყოფა მათი გაანალიზების გარეშე, მიღებული არ არის. სარწმუნოებაში რწმენისა და ურწმუნოების საზღვრები და წითელი ხაზები ნათლადაა მითითებული. ისლამის საფუძვლებისა და ფარხების უგულებელყოფა აშკარა ურწმუნოებაა. რაც შეეხება უფრო დეტალურ საკითხებს, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებები სხვადასხვა მეთოდებითაა მიღებული, მათ მიმართ ადამიანებს შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეთ. ამგვარი განსხვავებული დამოკიდებულებების მიხედვით მუსლიმთა ერთ ნაწილის მიერ მეორე ნაწილის უარყოფა, დაკნინების მცდელობა, ურწმუნოდ და მტრად გამოცხადება, რა თქმა უნდა ისლამის სულიერ პრინციპებს არ შეესაბამება.

სუნას მიმდევარი სწავლულები ერთხმად მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს, რომელიც ნამაზის დროს ქააბასკენ დგება, არ შეიძლება ურწმუნო ვუწოდოთ. თავიანთი ოპოზიციის შესახებ ისინი ამბობდნენ, რომ ისინი ცდებიან და სხვა უფრო რადიკალური შეფასებები არ გაუკეთებიათ. როდესაც ადამიანებს საკუთარი ნებით არ უარყვიათ რწმენის საფუძვლები, მხოლოდ მათი რომელიმე ქცევის გამო უარწმუნოებად მიჩნევა სარისკო დამოკიდებულებაა.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა გაეშურებით (საბრძოლველად) ალლაჰის გზაზე, განასხვავეთ (მორწმუნე ურწმუნოსაგან) და ამქვეყნიური სიუხვის მოხვეჭის სურვილით არ უთხრათ იმას, ვინც მშვიდობას შემოგთავაზებთ: შენ არა ხარ მორწმუნე! მაშინ, როცა ალლაჰთანაა ურიცხვი ალაფი. ასეთი იყავით უწინ, მაგრამ ალლაჰმა წყალობა მოიღო თქვენზე. ამიტომ გაიაზრეთ, უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!“ (ნისა 4/94)

აღნიშნული აიათი გვაფრთხილებს, რომ სიტუაციიდან გამომდინარე ადამიანების ურწმუნოებაში დადანაშაულება არ შეიძლება.

დღეს ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში გავრცელებულია ამგვარი იარაღიკების მიკერებით დაკავებული ორგანიზაციები და მათ მამოტივირებელი მიზანი, დიდი ალბათობით არა რელიგიური, არამედ პოლიტიკურია. სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა, ეთნიკური კუთვნილება, კანის ფერი, სალაპარაკო ენა, კულტურა და სხვა ფაქტორები მუსლიმთა დაყოფის მიზეზი არ უნდა გახდეს. პირიქით, ყველა ამ მრავალფეროვნების გამჩენი ღმერთი უნდა ვადიდოთ.

